საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N [redacted]
მცხ.: [redacted] ტელ.: [redacted]

განცხადება

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას **„საჯარო სამსახურის შესახებ“** საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ **საკანონმდებლო წინადადება** - დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფ პირთა დახურულ კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ;
- ✓ **საქართველოს კანონის პროექტი** - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

პატივისცემით,
09/06/2022

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-7149/22
„09" 06 2022 წ. ფურცელი 4

საქართველოს პარლამენტს

საკანონმდებლო წინადადება

დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფ პირთა დახურულ კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:**
  „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:**
  საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და შერწყმის შედეგად შტატების შემცირება, თუ მოხელეთა შემცირებასაც იწვევს, მობილობის პროცედურის დაწყება უპირობოდ სავალდებულოა. მობილობის დროს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის საფუძველზე, საჯარო დაწესებულებაში მოხელის დანიშვნისას არ საჭიროებს კონკურსის ჩატარება. მოხელის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, კანონით განსაზღვრულია მსგავსი შემთხვევების დროს მოხელის რეზერვში ჩარიცხვა[1] და მისთვის სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით კომპენსაციის გადახდა. გარდა ამისა, რეზერვში ჩარიცხულ მოხელეს[2] უნარჩუნდება დახურულ კონკურსებში მონაწილეობის უფლება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისთვის საჯარო სამსახურში მაღალი იერარქიული რანგის თანამდებობაზე დასაქმების შესაძლებლობა. მოხელეთა რეზერვში ასევე ირიცხება მოხელე, რომელიც პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მიზნით თავისუფლდება თანამდებობიდან. ყურადსაღებია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 26 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების (კანონი 4142-რს) შესაბამისად[3], <u>მოხელეთა რეზერვში</u>

---

[1] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ა“ პუნქტით მოცემულია <u>სამსახურიდან პირადი განცხადებით</u> გათავისუფლების შესაძლებლობა - 54-ე მუხლის (მოხელის პროფესიული განვითარება) მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევისას;

[2] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 124-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სამსახურის სტაჟი მოიცავს სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში საქმიანობის, მათ შორის, გამოსაცდელ, პროფესიული განვითარებისა და რეზერვში ყოფნის, პერიოდებს

[3] საქართველოს კანონის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის[3] თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული პირები, როგორც წესი ფლობენ საკმაოდ მნიშვნელოვან სამუშაო გამოცდილებას და არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები. ვაკანსიის არარსებობის გამო ვერ ხერხდება აღნიშნული კატეგორიის პირების დასაქმება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში, თუმცა ისინი ირიცხებიან დიპლომატიური სამსახურის რეზერვში. მაღალკვალიფიციური

შესაძლებელი გახდა, რომ ჩაირიცხონ დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული პირები, რომლებიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სათანადო ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო ვერ დაინიშნენ შესაბამის თანამდებობებზე. საგულისხმოა, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული პირები შეიძლება იყვნენ:

a) როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირი;

b) როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა და თანამდებობის პირის ვადაზე ადრე გამოწვეული პირები, მათ შორის:

- ლიკვიდაციისას ან/და რეორგანიზაციის საფუძვლად გამოწვეული პირები;
- საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების საფუძვლად გამოწვეული პირები;
- თანამდებობის პირის მოთხოვნის საფუძვლად[4] გამოწვეული პირები;
- *პერსონა ნონ გრატად" ან მიუღებელ პირად გამოცხადებული პირები;*
- *მნიშვნელოვანი საერთაშორისო გართულების საფუძვლად გამოწვეული პირები;*
- ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებული (ან მოსალოდნელი) საფრთხე ვითარების, სტიქიური და ტექნოგენური ხასიათის უბედურების შედეგად წარმოქმნილი სიტუაციის დროს.

ამასთან, ზემოხსენებული პირები, ისევე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის 02/05/2019 01-74 ბრძანებით დამტკიცებული წესის 46-ე მუხლით განსაზღვრული პირები (მათ შორის, პირადი განცხადების საფუძველზე და სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელეები, საქართველოს საკანონმდებლო ან თვითმართველობის ორგანოში არჩეული პირები, სახელმწიფოებრივი საჭიროების გამო საერთაშორისო ორგანიზაციაში სამუშაოდ მივლინებული პირი), რომელთაც მანამდე შეიძლებოდა ჰქონოდათ როტაციის წესით სამუშაო მივლინებით მუშაობის გამოცდილებაც. საგულისხმოა, რომ დიპლომატიურ სამსახურში კადრების შენარჩუნების მიზნით, ზემოხსენებული წესის 23-ე და

კადრების შემდგომი დასაქმების მიზნით, მიზანშეწონილია ასევე მოხდეს აღნიშნული პირების მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა მათი შემდგომი დასაქმების მიზნით;

[4] სავარაუდოდ ნაგულისხმები უნდა იყოს პირადი განცხადების საფუძვლად როტაციის წესით სამუშაო მივლინების დასრულება/ თანამდებობიდან გათავისუფლება. შესაბამისად, სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან პირადი განცხადებით განთავისუფლებულ დიპლომატიურ თანამდებობის პირთან მიმართებით შექმნილია უთანასწორო მდგომარეობა/ მოპყრობა, როტაციის წესით სამუშაო მივილებაში მყოფი პირის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლად რეზერვში ჩარიცხულ პირის მიმართ უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება.

51-ე მუხლებით, გათვალისწინებულია დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ყოფნის დინების შეჩერება[5] იმ პირებისათვის, რომლებიც დასაქმდება სხვა საჯარო დაწესებულებაში ისეთ თანამდებობაზე, რომლისთვისაც დადგენილ უფლებამოსილების სფეროში შედის ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ წინადადებების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სამართლებრივი ატებით, საგარეო პოლიტიკური უწყების მიერ გააზრებულია დიპლომატიური კადრების შენარჩუნების მნიშვნელობა, თუმცა, სახელმწიფო ინტერესს ასევე უნდა წარმოადგენდეს, დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფი პირებისათვის[6] ერთგვარი მობილობის შეთავაზება, რეზერვში ყოფნის განმავლობაში (როგორც განსაკუთრებული გამოცდილებისა და სპეციფიური ცოდნის მატარებლები პირებმა) მიიღონ საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით გამოცხადებულ დახურულ კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

- სწორედ, რომ კანონპროექტის მიზანია დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფ პირთათვის თანასწორი[7] შესაძლებლობების შექმნა დიპლომატიური სამსახურის რეზერვისა და მოხელეთა რეზერვის მნიშვნელობის გათანაბრებით საჯარო სამსახურის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების ხელშეწყობა[8].

შესაბამისი კადრისთვის არ არის მიმზიდველი (მამოტივირებელი), როდესაც დახურული კონკურსისგან განსხვავებით, ღია კონკურსზე არ ეძლევა:

- ✓ *გამარტივებული საკონკურსო პირობების დაკავების შესაძლებლობა;*

---

5 დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ყოფნის მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

6 საგარეო საქმეთა მინისტრის 02/05/2019 01-74 ბრძანებით დამტკიცებული წესის 45-ე მუხლის თანახმად, დიპლომატიური სამსახურის რეზერვი არის იმ პირთა შესახებ მონაცემების ერთობლიობა, რომლებიც თავისი კვალიფიკაციით და გამოცდილებით წარმოადგენენ რეალურ კანდიდატებს დიპლომატიურ სამსახურში თანამდებობის დასაკავებლად;

7 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მისი მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის, მათ შორის პაქტის 25-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტთან მიმართებით;

8 თავის მხრივ, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის მე-4 პუნქტით, სამინისტროს სისტემაში (მენეჯერულ პოზიციებზე) უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელკსაც აქვს უმაღლესი განათლება, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული მომზადება და საგარეო ურთიერთობის სფეროში მუშაობის გამოცდილება, რომელმაც იცის საქართველოს სახელმწიფო ენა და ორი უცხო ენა. კარგი იქნებოდა ანალოგის შექმნა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონითაც.

✓ ზედა რანგის თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა[9].

მაშინ, როდესაც პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის მიზნით გათავისუფლებულ და რეზერვში ჩარიცხულ პირს ეძლევა საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით გამოცხადებულ დახურულ კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობა, გონივრული იქნებოდა სპეციფიური გამოცდილებისა და შესაბამისი ცოდნის მატარებელი ყველა პირისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა. რეზერვში მყოფი პირისათვის[10] ალტერნატიული კარიერული განვითარების შესაძლებლობა დადებით გავლენას იქონიებს დიპლომატიურ სამსახურზეც, გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაბამის დარგობრივ სფეროში კვალიფიკაცია ამაღლებული/ გამოცდილება მიღებული (ტურიზმის წახალისება, ინვესტიციების მოზიდვა/ ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ.) პირის დაბრუნებით (რაც კიდევ მეტად ეფექტიანს გახდის საგარეო პოლიტიკური კურსისა და საერთაშორისო ურთიერთობების ეფექტიან განხორციელების პროცესს).

მოცემული გამოწვევების საპასუხოდ, მიზანშეწონილია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 105-ე მუხლის 2[1] პუნქტს, „ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „გ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად შესაბამისი საფუძვლებით სამსახურიდან გათავისუფლებულ დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფი პირებს მიეცემათ საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით გამოცხადებულ დახურულ კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

---

[9] დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფ იმ პირებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს კონკურსი, ვაკანსიის არარსებობის გამო ვერ იქნენ დანიშნული დიპლომატიურ სამსახურში, შეექმნებათ არა მხოლოდ დიპლომატიურ სამსახურში შემდგომი დანიშვნის შესაძლებლობა, არამედ სხვა საჯარო დაწესებულებებში არსებულ შიდა კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობაც. ამას გარდა, კერძო სექტორში დროებით დასაქმებულ დიპლომატიურ რეზერვში მყოფ კვალიფიციურ კადრებს მიეცემათ სახელმწიფო სამსახურში დასაქმების ალერნნატიული და ადეკვატური ანაზღაურებით დასაქმების შესაძლებლობა;

[10] საგარეო საქმეთა მინისტრის 02/05/2019 01-74 ბრძანებით დამტკიცებული წესის 49-ე მუხლით გათვალისწინებულია დიპლომატიური სამსახურის რეზერვიდან ამორიცხვის გარემოებანი, რაც თავისთავად გამორიცხავს მოხელეთა რეზერვით გათვალისწინებული შესაძლებლობის შეზღუდვას/ არამართლზომიერად გამოყენებას:

ა) თუ პირი დაინიშნა შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე; ბ) თუ პირთან გაფორმდა შრომითი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულება სამინისტროს სისტემაში; გ) თუ სამინისტროს სისტემაში პირს დაეკისრა დროებითი ფუნქციების შესრულება; დ პირადი განცხადების საფუძველზე; ე) თუ პირი გასამართლებულ იქნა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა; ვ) სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ზ) დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ყოფნის ვადის გასვლისას; თ) პირის გარდაცვალების გამო;

- **კანონპროექტის მიზანი:** „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით[11] გათვალისწინებული პრინციპებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაცია, ამ კანონით დადგენილ მოხელეთა რეზერვში ჩასარიცხ პირთა წრის სრულყოფა.

- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონპროექტის თანახმად, კანონის 105-ე მუხლის (მოხელეთა რეზერვი) 2^1 პუნქტს ემატება „გ“ ქვეპუნქტი, რომლებიც ითვალისწინებს მოხელეთა რეზერვში დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფ პირთა ჩარიცხვის ვალდებულებას. კერძოდ, მოხელეთა რეზერვში (ასევე) ჩაირიცხება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფი პირები, რომელთაც არ უკავიათ თანამდებობა <u>(ან/და არ უკავიათ დანიშვნითი თანამდებობა)</u> სახელმწიფო სამსახურში.

- **კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას

ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

- კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

- კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას

დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

- კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას

ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

- კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

- კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

- **კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

- კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

---

11 თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება დიპლომატიური სამსახურის თანამშრომლებზე.

- კანონპროექტი არ ეწინაარმდეგება საერთასორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

- ***კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:***

ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

- *ასეთი არ არსებობს*

ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

- ასეთი არ არსებობს

<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის მე-2^1 პუნქტის „ბ“ ქვეპნქტის შემდეგ დამატებულ იქნას „გ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„გ) დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფი პირი, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში არ უკავია თანამდებობა“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.